




საგზაო რუკა ახალგაზრდების გაძლიერებისთვის ქუთაისის მუნიციპალიტეტში

კვლევის მიგნებები და ახალგაზრდების ჩართულობის
სტრატეგია დაინტერესებული მხარეებისთვის



2023



შესავალი

ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სოციო-ეკონომიკური წინსვლისთვის. დღეს არსებული რეალობა არაერთ გამოწვევას ქმნის ახალი თაობის პიროვნული და კარიერული განვითარებისა და სამოქალაქო ჩართულობის გზაზე. ეს თავის მხრივ, როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში მოახდენს ნეგატიურ გავლენას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტზე.

გამოწვევების დიდი ნაწილი საერთოა ახალგაზრდების უმეტესობისთვის, თუმცა, თბილისსა და რეგიონებში, ისევე, როგორც ურბანულ და სასოფლო დასახლებებში არსებული პრობლემები განსხვავდება მასშტაბისა და ხასიათის მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კვლევის ფოკუსი მიემართება ქუთაისს, განხილული საკითხები მეტწილად რელევანტურია სხვა გეოგრაფიული არეალების შემთხვევაშიც, ვინაიდან სისტემური ხასიათის პრობლემები ყველა ადამიანზე ახდენს გავლენას.

ჩვენს მიერ ჩატარებული ინტერვიუებისა და უკვე არსებული კვლევების ანალიზისას გამოიკვეთა არაერთი პრობლემა, რომლებიც უკავშირდება ახალგაზრდების ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს, მათ შორის, **პიოფესიულ განვითარებას** (სამუშაო ადგილების სიმცირე, პროფესიული განვითარებისთვის საჭირო სტაჟირებისა და სხვა ტიპის პროგრამების ნაკლებობა, ნახევარგანაკვეთური სამუშაოების დეფიციტი...), **განათლებას** (არაფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, მრავალფეროვან სასწავლო რესურსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა, მოძველებული სწავლების მეთოდები და სასწავლო რესურსები...), **პიხაც ცხოვრებას** (არაფორმალური შეკრების სივრცეების ნაკლებობა, რეკრეაციული სივრცეების სიმცირე, გასართობი სერვისების ნაკლებობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშემწყობი სერვისებისა და პროგრამების დეფიციტი, ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე დაბალი ხელმისაწვდომობა...), **სამოქალაქო ჩართულობას**, (ჩართულობის მექანიზმების შესახებ დაბალი ინფორმირებულობა, ნიჰილისტური დამოკიდებულება, არასათანადო წამახალისებელი აქტივობები მუნიციპალიტეტის მხრიდან...).

ამ პრობლემების წარმოქმნასა და გამწვავებაზე გავლენას ახდენს, როგორც ინდივიდუალური გადაწყვეტილებები, ისე ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე გატარებული პოლიტიკა და საზოგადოებაში არსებული ტენდენციები. შესაბამისად, სიტუაციის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია, მათ შორის არსებული კავშირების ნათლად დანახვა და ცვლილებების მოსახდენად ყველა დონეზე აქტიური მუშაობა.



კვლევა მომზადებულია
ადგილობრივი
დემოკრატიის
სააგენტო
საქართველოს მიერ

ახალგაზრდების საქიროებების კვლევითი ჩარჩო

ჩვენი კვლევა ორიენტირებულია ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების საქიროებების იდენტიფიცირებასა და ანალიზზე, თუმცა შედეგების განვრცობა გარკვეულწილად შესაძლებელია სხვა მსგავსი ტიპის დასახლებებში მცხოვრებ ახალგაზრდებზეც.

კვლევა ეფუძნება უკვე არსებულ მეორეულ წყაროებს, კვლევებსა და ჩვენს მიერ ჩატარებულ ინტერვიუებს (12) ახალგაზრდებთან (10) და ახალგაზრდულ მუშაკებთან (2). ახალგაზრდების გამოკითხვა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ხოლო ახალგაზრდული მუშაკები შეირჩინენ პირადი კონტაქტების დახმარებით.

რაც შეეხება კვლევის მეთოდოლოგიას, ვეცადეთ მოგვეხდინა პრობლემების არა მხოლოდ იდენტიფიცირება, არამედ მიზეზ - შედეგობრივი კავშირების განსაზღვრა.

სტრუქტურულად, კვლევის პირველი ქვეთავი „ინფრასტრუქტურა და მასზე ხელმისაწვდომობა“ ორიენტირებულია სანყის, საბაზისო საქიროებებზე, როგორებიცაა სოციალური სივრცეები, ტრანსპორტირება, სამუშაო ადგილები.

მეორე, „ცნობიერება და აღქმა“ მოიცავს საზოგადოებაში არსებულ იმ შეხედულებებს, რომლებიც მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ახალგაზრდების პიროვნული და კარიერული განვითარებისთვის. „ინფორმირება და უნარების განვითარება“ აქცენტს აკეთებს იმ ცოდნასა და უნარებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია სრულფასოვანი პიროვნული და კარიერული განვითარებისთვის და ანალიზებს ამ პროცესში არსებულ დამაბრკოლებელ გარემოებებს. „ჩართულობა და გაძლიერება“ გამოკვეთს აუცილებლობას მოხდეს ახალგაზრდების გაძლიერება და მათი ჩართულობის ზრდა გადაწყვეტილების მიღებისა და თემის განვითარებასთან დაკავშირებულ პროცესებში.

ზემოთ აღნიშნული საკითხების კომპლექსურ ანალიზს მივყავართ საგაზაო რუკამდე, რომელიც წარმოაჩენს ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებზე ეფექტური რეაგირებისთვის საქირო მიდგომებს და მათი დანერგვის აუცილებლობას.

ახალგაზრდების სატიროებების კვლევითი ჩარჩო

**ჩართულობა და
გაძლიერება**



**ინფორმირება და
უნარების გაძლიერება**



**ცნობიერება
და აღქმა**




**ინფრასტრუქტურა და მასზე
ხელმისაწვდომობა**



ინფრასტრუქტურა და მასზე ხელმისაწვდომობა

ახდგაზხდების განვითარებისთვის ხელსაყრელი გახელო იქმნება, ხოლესაც შესაბამისი ინფრასტრუქტურა ახის გამაჩთური და ადვიდად ხელმისაწვდომი. მაქსიმალური ძადისხმევა უნდა იყოს მიმაჩთური შემხვედრი ბაჩიეების აღმოსაფხვედად, ხათა ახდგაზხდებმა თვითონ გაიკვლიონ გზა დასაქმების, წაჩმატებული სამეწაჩმეო საქმიანობისა და სამოქადაქო ჩაჩთურობისკენ.



ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა და მდგრადობა

შეუსაბამო და არამდგრადი ინფრასტრუქტურა, მათ შორის არასაკმარისი სატრანსპორტო საშუალებები და საზოგადოებრივი სივრცეები, მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ახალგაზრდების მათთვის სასარგებლო სერვისებზე წვდომისთვის.

ტრანსპორტირების საშუალებებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა განსაკუთრებით იჩენს თავს ქუთაისის გარშემო არსებულ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ახალგაზრდების შემთხვევაში, რომელთათვის ტრანსპორტირების ხარჯები ხშირად გამონვევას წარმოადგენს.

ერთ-ერთი ახალგაზრდული მუშაკი აღნიშნავს, რომ ქუთაისიდან ცოტა მოშორებით მდებარე დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდების ნაწილი ვერ ახერხებს მათ აქტივობებში ჩართვას, რადგან ტრანსპორტირებაში თანხას ვერ ხარჯავენ, ორგანიზაციას კი ამის დაფინანსება არ შეუძლია.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ უზრუნველყოფილ ახალგაზრდულ სივრცეებსა და სერვისებს არამდგრადი ხასიათი აქვს, ვინაიდან პროექტები მეტწილად საგრანტო დაფინანსებაზეა დამოკიდებული.

„სეხიობური პიობღემა ახის ახადგაზრდული ორგანიზაციების მდგაღობა. უმეღესობა ორგანიზაციებისა, აქტიუხი ახის მხორღ კონკხეღული პიოეღების ახსებობის შემთხვევაში. ანუ მე თუ მოვიღე კონკუხისი, ღენღეხი, ან ღხანგი ავიღე, ჩემი ორგანიზაცია მუშაობს, მაღხამ ახ ნიშნავს, ხომ ყოვეღღიუხი ხეუიში ვმუშაობთ და ჩვენს საქმიანობას ასე ვახოხციღებთ. ასე ახის ახადგაზრდული ორგანიზაციების უმეღესობა.“

(ახადგაზრდული მუშაკის ციგაღა კვევიღან „ახადგაზრდული ორგანიზაციების მდგომაღობა საქაღთვეღში“, 2021)

ინტერაქციაზე დაფუძნებული შემეცნებითი და გასართობი სივრცეები

ისეთი სივრცეების სიმცირე, რომელთა ბაზაზე შესაძლებელია ახალგაზრდების დიდი ჯგუფების თავშეყრა და ერთმანეთთან კომუნიკაცია, ხელს უწყობს საზოგადოების ჯგუფების დანაწევრებას და ჰოლისტური განვითარების შეფერხებას.

ერთ-ერთი კვლევის შედეგები ნათლად აჩვენებს არასამთავრობო ორგანიზაციების ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, კერძოდ ორგანიზაციების დიდ ნაწილს(66%) არ აქვთ სტაბილური საოფისე სივრცე, მხოლოდ გამოკითხულთა 34% ფლობს ასეთ ფართს.

(„ახალგაზრდული ორგანიზაციების მდგომარეობა საქართველოში“, 2021)

ახალგაზრდებს სჭირდებათ ისეთი სივრცეები და ღონისძიებები, რომლებიც მათ მისცემს სოციალიზაციის, სანაცნობო წრის გაფართოებისა და თანატოლებთან ერთად აქტივობების დაგეგმვის საშუალებას.

„იტილიაში ახის ასეთი კაფეები, სადაც ეხთ სივრცეში ახის განთავსებული პაგაჩა ბაჩები და მთლიანობაში 200-300 ადამიანი იყის თავს. ტუხინში ვნახე მე პიხადად ასეთი სივრცეები. ქუთაისს აკვია მსგავსი ადგილები, ღამის ცხოვრება ახ ახის განვითარებული“.

(ახალგაზრდა ქუთაისიდან)

„ეხთ-ეხთი პიხებენცაციაზე ესტონეთის მაგადითი მქონდა მოყვანილი და მინდა ახდაც გავიხსენო. იქ ახსებობს ახალგაზრდული სივრცეები, სადაც ნებისმიერი ახალგაზრდას შეუძლია მივიდეს და ნებისმიერი ჩამე აკეთოს, ასევე სხვადასხვა აქტივობებს ახორციელებენ თვითონ ბავშვები. ამის გახდა, განიხილავენ ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებსაც და ჩაიხედები ახიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.

(ახალგაზრდა ქუთაისიდან)

„ძალიან მნიშვნელოვანია გასაჩთობი აქტივობები და ტრენინგები, თამაშები, ახალგაზრდული სივრცეები, ხისი პრაქტიკაც ევროპაში ახსებობს, სამაგიდო თამაშებთან ეხთად, მუსიკალური ინსტრუმენტებით. ოლონდ ეს უნდა იყოს უფასო და ხედმისაწვდომი“.

(ახალგაზრდული მუშაკი ქუთაისიდან)

რეკრეაციული და უსაფრთხო შეკრების სივრცეები

რეკრეაციული და არაფორმალური შეკრებისთვის განკუთვნილი სივრცეების ნაკლებობა/დაბალი ხელმისაწვდომობა ამცირებს ახალგაზრდების სოციალურ აქტივობას, თვითგამოხატვის შესაძლებლობას, რაც უმნიშვნელოვანესია ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებისა და სამოქალაქო ჩართულობისთვის.

ქუთაისელი ახალგაზრდები თავისუფალ დროს ძირითადად მეგობრებთან შეხვედრისთვის(68%), წიგნის კითხვისა(44%)და მუსიკის მოსმენისთვის(43%) იყენებენ. თუმცა, კითხვაზე კმაყოფილები იყვნენ თუ არა ქუთაისში არსებული რეკრეაციული და გასართობი საშუალებებით, 44%-მა უკმაყოფილება გამოთქვა, ნეიტრალური პოზიცია 35%-მა, ხოლო კმაყოფილი ახალგაზრდების წილმა 21% შეადგინა [\(ახალგაზრდების საჭიროების, გამოწვევების, ინტერესების და ხელშეწყობის კვლევა, 2020\)](#).

მოცემული სურათი ნათლად წარმოაჩენს უფრო მრავალფეროვანი და ხელმისაწვდომი რეკრეაციული სერვისების საჭიროებას.

არსებული გასართობი და დასასვენებელი საშუალებები და სერვისები ახალგაზრდებისთვის ხშირად არ არის ფინანსურად ხელმისაწვდომი, მოსახერხებელი და მათ ინტერესებზე მორგებული, შედეგად ახალგაზრდების ნაწილი უპირატესობას უფასო ალტერნატივას ანიჭებს, რაც ამცირებს თავისუფალი დროის პროდუქტიულად და სასიამოვნოდ გატარების შესაძლებლობას.

ერთ-ერთი რესპოდენტი ხაზს უსვამს ისეთი სივრცეების არსებობის საჭიროებას, სადაც სხვადასხვა ინტერესის მქონე ახალგაზრდას შეეძლება ერთად გართობა

„გასახობი სივრცე ახალგაზრდებისთვის მაჩტო შეკრებას ახ უნდა გუდისხმობდეს, მე მაგადითად მყავს მეგობრები, ხომედთაც უყვართ თამაში, მაგხამ ეხთად ხომ შევიკვიბოთ და ვითამაშთ ახ ახის ეგეთი სივრცე. ეახსოფტი და ჰეადობაზე მოხვებუდი სხვა თამაშები, კომპიუტეჩები შესაბამისი გეიმინგ აქსესუაჩებით საინტეჩესო იქნებოდა. ამის გაჩდა, ხომ იყოს სივრცე, სადაც წინასწახ გამოქვეყნდება ინფოჩმაცია, ხომ დღეს ახის შეხვედრა ამა და ამ თემაზე და მსუხვედები მივიდოდნენ“.

(ახალგაზრდა ქუთაისიდან)

უსაფრთხო, არაფორმალური შეკრებისთვის განკუთვნილი სივრცეები მნიშვნელოვნ როლს ასრულებს ახალგაზრდების ჯანსაღი და სრულყოფილი განვითარების პროცესში. ალტერნატიულ, მავნე ზეგავლენის მქონე გარემოში ახალგაზრდების ინტერაქცია ხშირად მოიცავს ჯანმრთელობისთვის საზიანო ქმედებებს(სიგარეტის, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება), ძალადობრივ ქცევას და ა.შ.

ეს საკითხი განსაკუთრებით საყურადღებოა სოციალური რისკის ქვეშ მყოფი მოზარდების შემთხვევაში.

ერთ-ერთი რესპოდენტი ახალგაზრდების პრობლემებზე საუბრისას დასძენს

„კითხვაზე თუ ჰა პიობდემები აქვთ ისეთი ჰასაც ვეჩ იაზიებენ, ვიგყოდი, ხომ თავისუფადი დროის ნაყოფიეჩად გატაჩების ადგეჩნაგეჩა ახ აქვთ, ცუდად ხაჩჯავენ ამ დროს და ეს საბოდროდ აისახება მათ მენტადეჩ განვითაჩებაზეც“.

არსებული საგანმანათლებლო სერვისების თავისებურებები და ხარისხი

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში არაფორმალური განათლების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერება დაბალია, მსგავს სერვისებზე მოთხოვნა მაინც აჭარბებს მიწოდებას. არსებული ფინანსური რესურსები, რომელიც ხშირად მიმართულია შედარებით არაეფექტური პროგრამებისა და აქტივობებისკენ, შესაძლებელია მეტად იყოს ფოკუსირებული ახალგაზრდების რეალურ საჭიროებებზე.

სასწავლო რესურსები, რომლებიც ზოგიერთი საგანმანათლებლო დანესებულების შემთხვევაში საკმაოდ მოძველებულია და თან ახლავს სწავლების ასეთივე მეთოდები, არ არის თანხვედრაში იმ მოთხოვნებთან, რომელთა წინაშეც ახალგაზრდები დგებიან კარიერული წინსვლის პროცესში.

„მე პიხადად პიხობდემას მიქმნის დიგეხაგუხის ახახსებობა, ხშირად ამობეჭდვა გვიწევს ხადგან ახ ახის წიგნები, ასევე ბიბლიოთეკაში თანამედროვე წიგნები ახ ახის, ძველი გამოცემებია ხოდმე და ახ გვადგება“.

(ახალგაზრდა ქუთაისიდან)

მოზარდებთან დაკავშირებული საგანმანათლებლო სერვისების ნაწილი კრეატიულ და შემოქმედებით აქტივობებთან ერთად არ მოიცავს პერსონალური და კოგნიტური განვითარებისთვის საჭირო მიდგომებს. მოზარდებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება და შესაბამისი დაფინანსება გაზრდის ამ პროგრამების ეფექტურობას და სარგებელს მოზარდებისთვის.

ახალგაზრდული მუშაკი ინტერვიუს დროს ყურადღებას ამახვილებს „გამჭოლ“ უნარებზე და იმაზე თუ რამდენად აფერხებს ამ უნარების ნაკლებობა ახალი ცოდნის მიღების პროცესს

„ხანდახან ახადგაზრდების საჭიროებიდან გამომდინაჲე, ჩვენ ვასწავდით მათ თეზისის წეხას, დასკვნის გამოგანას. წეხასთან დაკავშირებითაც ახის პიხობდემები ზოგიერთი სამოგივაციო წეხილი ახ იკითხება ან ძადიან ბუნდოვანია. ასევე, უნდა აღვნიშნო კეეაგვიის, ინოვაციუხოების ნაკლებობა“.

მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) კვლევის მიხედვით, კითხვის კომპონენტში საქართველოს 380 ქულა აქვს, რაც კვლევაში მონაწილე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე(489) გაცილებით ნაკლებია. აღნიშნული მონაცემი მეტყველებს იმაზე, რომ ქართველი ბავშვები ნაკითხულ ტექსტს სრულყოფილად ვერ იაზრებენ. (PISA, 2018).

ახალგაზრდების ნაწილს, რომელთაც აქვთ გარკვეული თეორიული ცოდნა ამა თუ იმ სფეროსთან დაკავშირებით არ აქვთ ინფორმაცია ან წვდომა იმ შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც პრაქტიკული გამოცდილების მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვისაა საჭირო.

ერთ-ერთი რესპოდენტი, რომელსაც შესწავლილი ჰქონდა გრაფიკული დიზაინი, დაინტერესებული იყო პრაქტიკული გამოცდილების დაგროვებით ადგილობრივ ბაზარზე, თუმცა მსგავსი შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა.

სტაჟირებისა და მენტორობის პროგრამების, ნახევარგანაკვეთური სამსახურების შეზღუდული რაოდენობა აფერხებს ახალგაზრდების სამუშაო ბაზარზე შესვლის პროცესს, მათ კარიერულ წინსვლასა და ფინანსურ უზრუნველყოფას.

„სამსახურის პოვნა ხდურია მით უფრო სწავდასთან ერთად. მე, მაგალითად, ვიცი, რომ გეხმანიაში სტუდენტს ვეი ამუშავენ ხალაც დროზე მეტს, ხადგან სწავდაზე ახ შეეშადროთ ხერი“.

(ახალგაზრდა ქუთაისიდან)

ახალგაზრდების ფინანსური დამოუკიდებლობა საქართველოში მნიშვნელოვანი გამოწვევაა, მათი უმრავლესობა (62%) მშობლის ფინანსურ მხარდაჭერაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება ასაკობრივ კატეგორიებს, 14-18 ასაკობრივი ჯგუფის 96%, 19-24_ის 64%, ხოლო 25-29_ის 35% ფინანსურად მშობლებზეა დამოკიდებული.

ეს მონაცემები ხაზს უსვამს ახალგაზრდებისთვის სამუშაო შესაძლებლობების უზრუნველყოფის მნიშვნელობას ფინანსური დამოუკიდებლობის მისაღწევად.

([თაობა გახდამავად პეჩიოდში - ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო](#))

ცნობიერება და აღქმა

ახადგაზიხდები უნდა ცხოვრობდნენ ისეთ გახედიში, სადაც შეეძლებათ გააკეთონ ინფორმირებული აჩივანი კაჩიეხური გზისა და სამოქალაქო ვადებუდებების თაობაზე, თუმიცა ამისთვის საჭიროა მოხდეს ცვლიდებები საზოგადოების ცნობიეხებაში. მიცდაჩი წაჩმოდგენების გაქჩობა გახსნის ახად შესადგებდობებს ახადგაზიხდების პიჩოვნიური ზიხის, კაჩიეხური განვიტაეხებისა და სამოქალაქო ჩაჩთუდობისკენ.



„გამჭოლი“ უნარების (Soft Skills) მნიშვნელობა

ვინაიდან ახალგაზრდების დიდ ნაწილს არ აქვს გაცნობიერებული „გამჭოლი“ (soft skills) უნარების მნიშვნელობა, ისინი ნაკლებად მოტივირებულნი არიან გამოიყენონ ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც დაეხმარება მათ პიროვნულ და კარიერულ განვითარებაში, სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობასა და ორგანიზებაში.

ერთ-ერთი ახალგაზრდული მუშაკის თქმით, ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა არ იცის რაში მდგომარეობს არაფორმალური განათლების არსი, არ აქვთ ინფორმაცია ასეთი აქტივობების შესახებ და არც ფორმალური საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან არიან წახალისებული ჩაერთონ შესაბამის პროგრამებში.

დაბალი ცნობიერება აქტიური მოქალაქეობის შედეგებისა და გავლენის შესახებ, რომელსაც თან ერთვის პრობლემის გადაჭრის, გადანყვეტილების მიღებისა და კრიტიკულ აზროვნებასთან დაკავშირებული უნარების ნაკლებობა, ამცირებს ახალგაზრდების სათემო მობილიზებისა და სამოქალაქო აქტივობის შესაძლებლობას.

ერთ-ერთი ახალგაზრდული მუშაკი ინტერვიუს დროს ყურადღებას ამახვილებს ახალგაზრდების დამოკიდებულებაზე სამოქალაქო აქტივობის მიმართ

„ძალიან მნიშვნელოვანია მოქალაქეობის კომპეტენცია, ახადგაზრდებს აქვთ ხორცი ნიჭირისგუხი დამოკიდებულება, ხომ ეს ჩვენი საქმე ახ ახის, ჩვენ მაინც ვეჩაფეხს შევცვლით და ა.შ.“

“წინა სამსახურის გამოცდილებიდან მინდა ეხთი ფაქტი გავიხსენო, ხოდესაც ჩვენ სვოგ ანადიზი ჩავაგახეთ ახადგაზრდურ საბჭოებთან, მათ უამხავი პხობრემა დაასახედეს, თუმცა ხოდესაც ვკითხეთ ხას აკეთებდნენ ამ პხობრემების მოსაგვახებდად, პასუხი ახავის ჰქონდა, მათ ახ გაუუღეხებიათ თვითმმახთვედრობასთან ეს საკითხები.”

(ახალგაზრდული მუშაკი ქუთაისიდან)

დამოკიდებულება არაფორმალური განათლების მიმართ

ახალგაზრდების დიდი ნაწილი არაფორმალური განათლების მნიშვნელობას სათანადოდ ვერ აფასებს, რის გამოც ყურადღებას არ აქცევენ იმ აქტივობებს, რომლებიც გააძლიერებდა მათ პერსონალურ და პროფესიულ უნარებს.

ახალგაზრდების საკმაოდ დიდი ნაწილი არ იღებს მონაწილეობას არასასკოლო აქტივობებში. კვლევის მიხედვით ქუთაისში მცხოვრები ახალგაზრდების 67%-ს მონაწილეობა არ მიუღია მოხალისეობრივ ან მსგავსი ტიპის აქტივობაში.

[\(ახალგაზრდების საჭიროების, გამოწვევების, ინტერესების და ხესუხების კვლევა, 2020\).](#)

„18 წლის ზემოთ მოხალისეობაზე აჩავენ ფიქრობს, უკვე სწავლაზე და დასაქმებაზე ფიქრობენ. იმიტომ, რომ მოხალისეობის ბენეფიტები ახ აჩის ცხადი ახალგაზრდებისთვის. მე და კიდევ სხვები რომ ვაგაჩებთ შეხვედრებს უფრო ხვდებიან რომ მნიშვნელოვანია მოხალისეობა, ამის გახდა წახმატებელი მაგალითები აჩის მაგალითის მიმცემი“.

(ახალგაზრდული მუშაკი ქუთაისიდან)

ერთ-ერთი რესპონდენტი არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ასეთ აქტივობებში მონაწილეობით მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა კომუნიკაციის, ორგანიზებისა და ანალიტიკური უნარები.

ახალგაზრდების ნაწილს არასწორი წარმოდგენა აქვს არაფორმალურ განათლებაზე და მას მიაწერენ ფორმალური განათლების მახასიათებლებს, რის გამოც ისინი ასეთ აქტივობებში მონაწილეობისგან თავს იკავებენ.

„ჩვენ გვქონდა მკითხველთა კლუბი და თვითონ ბავშვებმა მითხვეს, რომ ეგონათ ჩვენ დავსხდებოდით, წიგნებს გადავშრიდით და ხმამაღლა წავიკითხავდით. ახ იციან ახაფოხმადუხი განათლების მეთოდების შესახებ და ამიტომ ახ ინტერესდებიან. ასევე ახ ცდილობენ საკუთარი თავის განვითარებას და ეგეც პირობებმა“.

(ახალგაზრდული მუშაკი ქუთაისიდან)

ახალგაზრდების ნაწილი ხშირად აქცენტს აკეთებს დასაქმებისთვის საჭირო კონკრეტულ ტექნიკურ ცოდნაზე(რეზიუმეს შედგენა, გასაუბრების ტექნიკები), ხოლო გამჭოლი უნარებისა და პროფესიული ცოდნის მისაღებად საჭირო შესაძლებლობები ყურადღების მიღმა რჩებათ.

ახალგაზრდული მუშაკის თქმით, მოზარდებთან შედარებით სტუდენტების ჯგუფთან დაკავშირება უფრო რთულია, ისინი ნაკლებად ერთვებიან არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში, თუმცა გარკვეულ დაინტერესებას იჩენენ იმ აქტივობების მიმართ, რომლებიც მათ ვიწრო ტექნიკურ ცოდნას სძენს(რეზიუმეს შედგენა და სამსახურეობრივი გასაუბრება).

საზოგადოების აღქმა ცოდნის მიღების შესაძლებლობებზე

ახალგაზრდები ფორმალურ საგანმანათლებლო ინსტიტუტებს აღიქვამენ ცოდნის მიღების ძირითად წყაროდ, რის გამოც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სხვა სასწავლო შესაძლებლობებს.

ფორმალური საგანმანათლებლო დაწესებულებები გარკვეულწილად ეყრდნობიან უკვე მოძველებულ საინფორმაციო და საგანმანათლებლო რესურსებს, რაც ხელს უშლის ახალგაზრდებს მიიღონ თანამედროვე, ციფრული სამყაროსთვის რელევანტური ცოდნა. ცნობიერების გაზრდა სხვადასხვა საგანმანათლებლო შესაძლებლობის შესახებ ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ადაპტაციას თანამედროვე მოთხოვნებთან.

განსხვავებული ინტერესები და შეხედულებები საზოგადოების შიგნით

ფორმალური საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საზოგადოების მხრიდან არაფორმალური განათლებისა და ნაკლებად პოპულარული პროფესიების მნიშვნელობის დაკნინება ახალგაზრდებისთვის ქმნის ერთგვარ ბარიერს, გამოიყენონ სხვადასხვა შესაძლებლობა და შეძლონ საკუთარი პროფესიის თაობაზე ინფორმირებული არჩევანის გაკეთება.

„ახდანდელი პირობები შემოიქცა დავასახედო - „პეხსონადუხი ასისტენტის სეხვისის მიმწოდებელთა მომზადება“. იქედან გამომდინარე, რომ შშმ პიჩებთან მუშაობა ძალიან ხთური ჰგონიათ, ეს სეხვისი ახ ახის პოპულარული. ამის გამო, დიდი დაინტერესება ახ იყო ახადგაზრდების მხიდან, მიუხედავად იმისა, რომ დასაქმების შანსი საკმაოდ დიდი აქვთ, ვინაიდან ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს ვადებულება შშმ პიჩებს შესთავაზოს პეხსონადუხი ასისტენტის სეხვისი“.

(ახალგაზრდული მუშაკი ქუთაისიდან)

„სკოლის ახადგაზრდები ახიან აქტიუხები, დაახლოებით 13დან 16 წლამდე. 16 წლიდან იწყებენ საგნებში მომზადებას და უჭიხთ ჩვენთან მოსვლა, ხშირად მასწავლებლები ახ უშვებენ“.

(ახალგაზრდული მუშაკი ქუთაისიდან)

„ხაც შეეხება დიხექტოხებს, ახსებობენ დიხექტოხები, ხომლებთანაც კომუნიკაცია ხთურია, თუ პირობებს ახ აფინანსებს დიდი დონოხები, ხოგოხიცაა მაგარითად ევხოკავში, ან ახ აქვს განათლების სამინისტროს

ნებახთვა, მიუხედავად იმისა რომ სკოდა აჩის თვითმახთვადი ოხგანო და დიხექტოხს შეუძლია ამ გადაწყვეტიდების მიღება, ბევხი მაინც თავს იკავებს. თუმცა, ახსებობენ ისეთი დიხექტოხებიც, ხომლებიც ძადიან ღიები აჩიან და ახ აქვთ პიობდელმა“.

(ახალგაზრდული მუშაკი ქუთაისიდან)

კერძო სექტორის, საგანმანათლებლო ინსტიტუტებისა და ახალგაზრდების ღირებულებებსა და ინტერესებს შორის განსხვავება, რომელსაც თან ერთვის მათ შორის კომუნიკაციის ნაკლებობა, ნეგატიურად აისახება, როგორც ახალგაზრდების პროფესიულ განვითარებაზე, ისე ზოგადად შრომითი ბაზრის ფუნქციონირებაზე.

„მე მთავახ გამოწვევად ფინანსებს ვთვდი, სამსახუხის პოვნა ხთუდია, მით უფხო სწავდასთან ეხთად. ჩვენ დექციების დხოებს ჩვენითაც ვეხ ვიჩევთ. მე, მაგადითად ვიცი რომ გეხმანიში სტუდენტს ვეხ ამუშავებ ხადაც დხოზე მეტს, რომ სწავდაზე ახ შეეშადოთ ხერი“.

(ახალგაზრდა ქუთაისიდან)

„ნახევახ განაკვეთუხზე მუშაობა ცოტა ხთუდია, ხადგან დხოების შეთანხმება ხთუდია. უნივეხსიტეგში სტადია ისეთი, ახადეხში დავეხმახებიან“.

(ახალგაზრდა ქუთაისიდან)

როდესაც ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ ალტერნატიულ პროფესიულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს, ისინი იწყებენ საკუთარი მომავლის ახალი პერსპექტივიდან დანახვას.

„კოდეჯში ისწავლება ბევხი საკმაოდ ,მოთხოვნადი მიმახთუდება, კოდეჯის ბაზაზე მაქვს ახადგაზხდური კდუბი და ბევხი ინტეხესდება, თუმცა ჯეხ ასაკის გამო ახ შეუძლიათ ჩაბახება, თუმცა მომდევნო წლებში ჩააბახებენ“.

(ახალგაზრდული მუშაკი ქუთაისიდან)


ქართული საზოგადოებისთვის დამახასიათებელია ოჯახის აქტიური ზეგავლენა უმცროსი წევრების გადწვეტილებებზე, რაც გარკვეულ შემთხვევებში ზღუდავს ახალგაზრდებს მიყვნენ თავიანთ არჩეულ პერსონალურ თუ კარიერულ გზას, განსაკუთრებით თუ ეს ეხება საზღვარგარეთ არსებულ შესაძლებლობებს.

„მშობლებს ხაც შეხება, ხანდახან 30 წლის ადამიანებსაც ბავშვებს ეძახიან, ამიგომ ზოგიეხთი მათგანისთვის ხთუდია დაეთანხმონ შვილების საზღვარგარეთ წასვლის გადაწყვეტიდებას“.

(ახალგაზრდული მუშაკი ქუთაისიდან)

ინფორმირება და უნარების გაძლიერება

ახადგაზიარების გაძლიერებისთვის საკვანძო მნიშვნელობა აქვს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას და მათი უნარების მხავადმხივ გაძლიერებას. განვითარებაზე ორიენტირებული გახედოს შექმნით, ახადგაზიარებს შესაძლებლობა ეძლევათ გამოავლინონ თავიანთი პოტენციალი, დადებითად შეცვალონ შიომით ბაზაზე ასეობური ვითარება და წვდირი შეიტანონ უფრო მდგახდი საზოგადოების შენების პიროცესში.



მსოფლიო ბანკის 2020 წლის შეფასების მიხედვით, საქართველოს ადამიანური კაპიტალის ინდექსი შეადგენს 0,57-ს ხაც ნიშნავს, რომ დღეს დაბადებული ბავშვი სხუდწლოვანებამდე მიაღწევს თავისი შესაძლო პოტენციალის მხოლოდ 57%-ს, იმ განათლებისა და ჯანდაცვის პირობებში, ხაც მას აქვს საქართველოში.

(Human Capital Index, 2020)

ინფორმაციის ფრაგმენტაცია

ინფორმაციის წყაროების ფრაგმენტაცია იწვევს რესურსების არათანაბარ ხელმისაწვდომობას, რის გამოც ახალგაზრდებმა არ იციან მათთვის საინტერესო აქტივობებისა თუ სერვისების შესახებ, თუ ამ ინფორმაციას თავიანთი უშუალო გარემოცვისგან არ მიიღებენ.

ახალგაზრდული ორგანიზაციები ინფორმაციას ძირითადად სოციალური მედიის საშუალებით ავრცელებენ, ინფორმაცია განთავსებულია მათ ფეისბუქ გვერდებსა და ჯგუფებში, თუმცა ყველაზე ეფექტური გზა ინფორმაციის გასავრცელებლად პირადი კონტაქტები და ორგანიზაციების ბენეფიციარებია.

(ახალგაზრდული ორგანიზაციების მდგომარეობა საქართველოში, 2021)

ახალგაზრდებს შორის ინფორმაცია უმეტესად ვრცელდება პირდაპირი კომუნიკაციით, შესაბამისად, თუ თემში/სანაცნობო წრეში არ არის ცნობილი ამა თუ იმ პროექტის შესახებ, ახალგაზრდები ამ შესაძლებლობის მიღმა რჩებიან.

ამა თუ იმ პროექტში მონაწილეობაზე საუბრისას კვლევაში მონაწილე რესპონდენტებიც ძირითადად მეგობრებს ასახელებდნენ ინფორმაციის წყაროდ.

გამონვევა ე.წ NEET (დასაქმების, განათლებისა და ტრენინგების მიღმა მყოფი) ახალგაზრდების ინფორმირება, რაც კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია მათი პიროვნული და კარიერული განვითარებისთვის.

ახალგაზრდული მუშაკი ე.წ NEET ახალგაზრდებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ მათთან დაკავშირება და ინფორმაციის მიწოდება საკმაოდ რთულია.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროფესიული პროგრამების შესახებ ბევრ ახალგაზრდას სრულყოფილი ინფორმაცია არ აქვს, არსებული პიარ აქტივობები კი საკმარისი არ არის ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებისთვის. შედეგად ის სარგებელი, რომელიც დასაქმების კუთხით შეიძლება მიიღონ ახალგაზრდებმა, აუთვისებელი რჩება.

„[პროფესიულ პროგრამებს] პიაჩი ახ უკეთდება ნამდვიდად, აჩავინ შედის კოდეჯის ვებ-გვერდზე, თუ კოდეჯი ახ მივიდა თვითონ სკოლაში ან ჩაიმე ღონისძიება ახ დააოჩგანიზა. სივხცე აჩის სხურიად ადაპტირებუღი, კომპიუტერეხებიც აჩის ბიბლიოთეკაც, შეხვედრების დახბაზიც. მაგჩამ ახადგაზხდებმა ახ იციან ამ ყვედაფჩის შესახებ“.

(ახალგაზრდული მუშაკი ქუთაისიდან)

ერთიანი პლატფორმა, სადაც თავმოყრილი იქნებოდა მრავალფეროვანი ინფორმაცია ახალგაზრდული შესაძლებლობების შესახებ არ არსებობს, ორგანიზაციები ინფორმაციას ძირითადად თავიანთი ვებ-გვერდების, სოციალური ანაგრიშების და სხვა მსგავსი არხებით ავრცელებენ. ინფორმაციის ასეთი ფრაგმენტაცია ახალგაზრდების მხედველობის მიღმა ტოვებს სხვადასხვა აქტივობას.

„საინფორმაციო პლატფორმები ახ აჩის საქაჩთვეღში, ახადგაზხდობის სააგენტომ სცადა გაეკეთებინა მაგჩამ ეგ პდათფორჩმა ჯეჩ-ჯეჩობით აჩ მუშაობს. ახადგაზხდებს აჩ აქვთ ეჩთიანი პდატფორჩმა, სადაც ნახავენ ინფორჩმაციას, ყვედა ოჩგანიზაციას თავისი პდატფორჩმა აქვს ,დაქსაქსურია ეს ინფორჩმაცია და ველაჩ იგებს ახადგაზხდა სად იპოვოს მისთვის საინტერესო შესაძლებღობები“.

(ახალგაზრდული მუშაკი ქუთაისიდან).

საინფორმაციო პლატფორმის არსებობა გარკვეულწილად მოხსნიდა ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ბარიერს, განსაკუთრებით მათთვის ვინც გაბნეული ინფორმაციის მოსაძებნად საკმარის ძალისხმევას არ იჩენს ან ამისთვის სათანადო ცოდნა არ აქვს.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდული მუშაკები ხაზს უსვამენ ერთიანი პლატფორმის შექმნის საჭიროებას, ამავედროულად ახალგაზრდებთან საუბრისას აღმოჩნდა რომ ქუთაისში არსებობს გაკრვეული გასართობი სივრცეები(მაგალითად სამაგიდე თამაშების კლუბი), რომელთა შესახებ ყველა რესპოდენტს არ ჰქონდა ინფორმაცია, იმის მიუხედავად რომ ასეთი სერვისები მათთვის საინტერესო იყო.

დამოუკიდებლად სწავლის ჩვევა ახალგაზრდებში

იმ შემთხვევაში, თუ ახალგაზრდებს არ ექნებათ გაცნობიერებული დამოუკიდებლად სწავლის აუცილებლობა და ვერ განივითარებენ შესაბამის უნარს, ვერ შეძლებენ სარგებლის მიღებას იმ რესურსებისგან, რომელიც მათთვის ხელმისაწვდომია.

„ჩვენ ასევე დიდ ყუხადლებას ვუთმობთ დამოუკიდებელი სწავლის კომპეტენციის განვითარებას. ახალგაზრდების დიდი ნაწილი ახ აკეთებს ამას და ჩვენ ხოცა ვასწავლით ამ ყვედაფეხს მეხე დამოუკიდებდად აყადრბებენ გეგმებს“.

(ახალგაზრდული მუშაკი ქუთაისიდან)

ციფრული წიგნიერება საკვანძო მნიშვნელობისაა ახალი თაობის წარმომადგენლებისთვის, თუმცა ახალგაზრდები ინტერნეტს ძირითადად სოციალური მედიისთვის იყენებენ, რის გამოც ახალგაზრდების ფოკუსი სცილდება სასწავლო შესაძლებლობებს.

სტატისტიკური ინფორმაციით, ინტერნეტის გამოყენების მიზეზებს შორის წამყვან პოზიციას იკავებს სოციალური ქსელები(99.2), ახალი ამბების გვერდები(51.3%) მეილის გამოყენება(56.8%) ვიდეო ზარების განხორციელება(93%), ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება(45.4%) სერვისებისა და პროდუქტების მოძიება(55.5%)

(საქსტატი, 2022)

სწავლების მეთოდები და პრიორიტეტები

ზოგიერთი არაფორმალური საგნამანათლებლო პროგრამა არ მოიცავს ჩართულობისა და კრეატიულობის კომპონენტებს, რის გამოც იგი ახალგაზრდებისთვის ნაკლებად საინტერესოდ აღიქმება და ამცირებს მათ მოტივაციას ამ გზით მიიღონ ახალი ცოდნა.

„ბათუმში ხოცა ვიყავით პხოექტზე, აქტივობებს ძიხითადად დექციების სახე ჰქონდა, ინტეხაქციური ახ იყო და მოსაწყენი იყო“.

(ახალგაზრდა ქუთაისიდან)

შრომით ბაზარზე დამკვიდრებისთვის ახალგაზრდებმა უნდა შეძლონ კონკრეტული ცოდნის მიღება დასაქმებისთვის, ხოლო „გამჭოლი“ უნარების განვითარება წარმატებული და ეფექტური საქმიანობისთვის.

„ჩემი აზრით, საკვანძო კომპეტენციები თუ სხუდად აჩის განვითარებული, ხაც ადამიანს სჭიხდება მთელი ცხოვრების განმავლობაში, ძალიან ეფექტური კადხი ყადიბდება ხოდმე“.

(ახალგაზრდული მუშაკი ქუთაისიდან)

ახალგაზრდების ეკონომიკური გააქტიურებისთვის უმნიშვნელოვანესია მათი სამენარმეო ცოდნისა და უნარების გაძლიერება, რათა მათ შეძლონ საკუთარი თავის წარმოდგენა დამსაქმებლებად, უზრუნველყოთ თავიანთი ფინანსური კეთილდღეობა და კომერციული გზით გადაჭრან საზოგადოებაში არსებული პრობლემები.

გასულ წლებში მენარმეების რაოდენობა დასაქმებულებს შორის 1%-მდე მერყეობდა, მაშინ როცა იგივე მშპ-ს მქონე ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 5%-მდე ადის. სტარტაპების გადარჩენის მაჩვენებელი კი 70%-ს შეადგენდა.

[\(Georgia at Work: Assessing the Jobs Landscape, 2018\)](#)

აღსანიშნავია ისიც, რომ მენარმეობა ბევრისთვის იძულებითი არჩევანია და არა კარიერული გადწყვეტილება. კვლევის მიხედვით ახალგაზრდების წილი, რომელთაც ბიზნესის წამოწყების სურვილი აქვთ, 13%-ია, მაშინ, როცა 42% სასურველ სამსახურად საჯარო სექტორს ასახელებს.

[\(სახელმწიფოს ახადგაზრდული სგხაგვეის დოკუმენტი 2023-2026\)](#)

ჩართულობა და გაძლიერება

ახადგაზიარების წახადისება აქტიუი ჩაიხიურობისთვის
გაციდებით მეტია ვიდეუ უბიადოდ მოწოდება სამოქადეო
აქტიუიობისკენ. ახადგაზიარების ჩაიხიურობის ზიდა
გადაწყვეტიდების მიღების პიოცესსა და სამოქადეო
აქტიუობებში ხედს უწყობს მთრიანად საზოგადოების
გააქტიუიებასა და განვითაიებას.



შეკითხვაზე, თუ როგორ შეაფასებდნენ თავიანთ სამოქალაქო აქტიურობას, ქუთაისელი ახალგაზრდების მესამედზე მცირედით მეტი (37%) ამბობს, რომ აქტიურია (ძალიან აქტიური ან აქტიური), მეტ-ნაკლებად აქტიურად ახასიათებს თავს გამოკითხულთა 38%, ხოლო 25% მიიჩნევს, რომ არ არის აქტიური. 14-17 წლის ახალგაზრდების 37% მიიჩნევს, რომ არ არის აქტიური, 18-24 წლის ახალგაზრდების 17% მიიჩნევს იმავეს, ასევე 25-29 წლის ახალგაზრდების 12% იზიარებს იმავე მოსაზრებას.

(ახალგაზრდების საჭიროების, გამოწვევების, ინტეგრაციის და ხელსახების კვლევა, 2020)

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათთვის აქტიურობის კომპონენტი უმეტესად შემოიფარგლება ინფორმაციის მიღების, სოციალურ ქსელში მოსაზრების დაფიქსირებითა და სხვა მედია საშუალებებში აზრის გამოხატვით. იმ ახალგაზრდების აქტივობაც, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართულნი გადამწყვეტილების მიღების პროცესში (გამოკითხულთა 34%) უმეტესად შემოიფარგლებოდა ინფორმაციის გაცნობითა და აზრების გაცვლით, მხოლოდ რესპოდენტთა 13%-ის ჩართულობამ მოახდინა გავლენა გადამწყვეტილების მიღების პროცესზე.

(ახალგაზრდების საჭიროების, გამოწვევების, ინტეგრაციის და ხელსახების კვლევა, 2020)

გადამწყვეტილების მიღებისა და სამოქალაქო ჩართულობისთვის საჭირო უნარები ახალგაზრდებში

ახალგაზრდების გაძლიერება ინკლუზიურ და მეგობრულ გარემოში მათთვის სხვადასხვა უნარის (გადაწყვეტილების მიღების, პრობლემების გადაჭრის და კრიტიკული აზროვნების) განვითარების გზით, მისცემს მათ თავდაჯერებულობასა და ცოდნას, ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მაშინაც, როცა ინიციატივა მუნიციპალიტეტიდან არ მოდის.

პროცესი, რომელშიც ახალგაზრდები სწავლობენ გადამწყვეტილების თავიანთი სათქმელი და პარალელურად ახდენენ პრობლემების ადვოკატირებას, ხელს უწყობს მოქალაქეებსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის კავშირის გამყარებას.

„როცა მოზარდებთან მუშაობ, ერთ-ერთი მიმართულება ხაც ახის, ეს ახის საჯახო გამოსვლები, უწევთ პიზნენგაციების გაკეთება, იძებენ ინფორმაციას ამა თუ იმ საკითხის შესახებ. პირობებში ვხედავთ, რომ დროთა განმავლობაში ამ უნარს ივითაჩებენ. ასევე ხამდენად თამამად შეუძლიათ გააჟღერონ საკუთარი პიზრებებები, პიზვედ შეხვედხაზე თუ ხმას ახ იღებდნენ ბორს უკვე ველახ არეხებდნენ მეხიის წახმომადგენლები. იციან უკვე ხა შესაძლებლობები ახსებობს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ვის უნდა დაუკავშირდნენ ამა თუ იმ პიზრებმის მოსაგვაჩებდად, მეტი კომუნიკაცია აქვთ მუნიციპალიტეტთან, იციან თავიანთი უფლებების შესახებ“.

(ახალგაზრდული მუშაკი ქუთაისიდან)

ახალგაზრდული ინიციატივები და მათი მხარდაჭერა მუნიციპალურ დონეზე

ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება და მათი მოსაზრებების გათვალისწინება პოლიტიკის შემუშავებისას, შედეგად მოგვცემს ახალგაზრდების საჭიროებებზე მეტად მორგებულ პროგრამებს და მათი ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდილ ხარისხს.

ქუთაისის მუნიციპალიტეტში არსებობს ახალგაზრდული ინიციატივების კონკურსი, რომელსაც მერია პერიოდულად აცხადებს, თუმცა საინიციატივო ჯგუფების შემთხვევაში მოთხოვნილია თანადაფინანსებაც, რაც ერთ-ერთი ახალგაზრდული მუშაკის აზრით, მნიშვნელოვანი გამოწვევაა დაინტერესებული პირებისთვის.

გადანყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების საჭიროებებისა და მოსაზრებების უგულვებლყოფა ამძაფრებს ნიჰილიზმის განცდას, რაც კიდევ უფრო ამცირებს მათ ჩართულობას.

რესპონდენტთა 47% ფიქრობს, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებული არ არის. 27%-მა არ იცის, რამდენად არის გათვალისწინებული, ხოლო 26% ფიქრობს, რომ მათი ინტერესები გათვალისწინებულია.

(ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესების და ხელახლების კვლევა, 2020)

დაინტერესებული მხარეების გააძლიერება

თვალსაჩინო როლ-მოდელებისა და წარმატებული ისტორიების ნაკლებობამ შეიძლება შეამციროს ახალგაზრდების ზრდისა და განვითარების პოტენციალი. წარმატებული მაგალითების ზრდისთვის კი მნიშვნელოვანია როგორც ახალგაზრდების, ისე სხვადასხვა ინსტიტუციის გაძლიერება.

საპარლამენტთაშორისო კავშირის 2018 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ქართველი დეპუტატების მხოლოდ 0.67% არის 30 წლამდე ასაკის. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს მოსახლეობის თითქმის მეოთხედი ახალგაზრდაა.

მონაცემები ხაზს უსვამს პოლიტიკაში ახალგაზრდების წარმომადგენლობის გაძლიერების აუცილებლობას, რაც თავის მხრივ შეიძლება იყოს ძლიერი მოტივატორი ახალგაზრდების უფრო მეტი მონაწილეობისთვის სამოქალაქო აქტივობებში.

(Georgia Youth Index Report, 2020)

ფორმალური საგანმანათლებლო ინსტიტუტების ინფორმირება და შესაბამისი ცოდნით აღჭურვა უმნიშვნელოვანესია ახალგაზრდების მხარდაჭერის პროცესში, ვინაიდან სწორედ ამ დანებებულებებთან აქვთ ახალგაზრდებს უპირველესად შეხება.

გულწრფელი და აქტიური მხარდაჭერა გადანყვეტილების მიმღები ორგანოებისა და საზოგადოების მხრიდან აუცილებელია ახალგაზრდების ინსპირაციისა და მოტივაციისთვის ჩაერთონ და გააჟღერონ თავიანთი პრობლემები, რომლებიც სხვაგვარად შეიძლება მოუგვარებელი დარჩეს.

როგორც ჩვენი, ისე ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევებიდან ნათლად ჩანს, რომ ახალგაზრდები ინიციატივის გამოჩენას პირველ რიგში მუნიციპალიტეტისგან ელიან, ამიტომ შესაბამისი უწყებების მხრიდან ახალგაზრდების ჩასართავად გამოჩენილი ინიციატივები მნიშვნელოვნად წაახალისებს ახალგაზრდებს.

მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი ვებ-გვერდი, რომელზეც აქტიურად მიმდინარეობს ინფორმაციის განახლება, თუმცა ვებ-გვერდზე არ არის ცალკე განყოფილება ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და ჩართულობის მექანიზმების შესახებ, რაც ერთგვარი გაშვებული შესაძლებლობაა, იმის გათვალისწინებით, რომ ახალგაზრდები ინფორმაციის მისაღებად ძირითადად ინტერნეტს იყენებენ.

დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაცია

ახალგაზრდების საკითხებზე მომუშავე უწყებებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებას შეუძლია ხელი შეუწყოს ყოვლისმომცველი და ეფექტური სტრატეგიების შექმნას ახალგაზრდების გაძლიერებისთვის.

რესურსებისა და მოვალეობების უფრო დაბალანსებულ განაწილებას სახელმწიფო უწყებებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის შეუძლია გაზარდოს ახალგაზრდებისთვის შემუშავებული პროგრამების ეფექტურობა და პროდუქტიულობა.

„მე ბევრჯერ მითქვამს, რომ გამოწვევებზე საპასუხოდ ეხითანი ძაღიასხმევაა საჭირო. სახელმწიფოს ხშირად ახ აქვს გექნიკუხი ხესუხსი, გამოცდილება და კომპეტენცია იმუშაოს ახადგაზრდებთან და ეს ხშირად გამოწვევაა, ხოცა ხალაცას აკეთებენ ახადგაზრდული მიმადფითულებით, ხოდო ახასამთავხობი სექტოხს ახ აქვს დიდი ხესუხსი მდგადი სეხვისების მისაწოდებდად“

(ახალგაზრდული მუშაკი ქუთაისიდან)

შედეგზე ორიენტირებულ პარტნიორობას ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, მუნიციპალიტეტსა და კერძო სექტორს შორის, გამჭვირვალობასთან და ეფექტურ საჯარო კომუნიკაციასთან ერთად, შეუძლია შეამციროს არასამთავრობო ორგანიზაციების შეშფოთება პოლიტიკურ აფილიაციასთან დაკავშირებით.

ისეთი ინიციატივები, როგორცაა მაგალითად მუსიკალური ფესტივალი “როკაია”, რომლის ორგანიზებაში მუნიციპალიტეტთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართული კერძო სექტორისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ხელს უწყობს როგორც ახალგაზრდების ინტერესების გათვალისწინებას, ისე მულტისექტორული თანამშრომლობის გაღრმავებას.

ჩუკომუნდაციები



ინფრასტრუქტურა და ხელმისაწვდომობა

ახალგაზრდების გავითარებისა და გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის, ინიციატივები ფოკუსირებული უნდა იყოს ინტერაქციაზე დაფუძნებული სასწავლო და გასართობი სერვისების ხელშეწყობაზე, რეკრეაციული და არაფორმალური შეკრების სივრცეების შექმნასა და არსებული საგანმანათლებლო სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

- » ახალგაზრდული სერვისების მიმწოდებლების ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერის გაზრდა (პროგრამების დაფინანსება, სამუშაო სივრცით უზრუნველყოფა, საჭირო ინვენტარის გადაცემა) როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის მხრიდან მნიშვნელოვანად შეუწყობს ხელს ამ სერვისების მდგრადობას და შედეგზე ორიენტირებულობას.
- » მუნიციპალიტეტის მხრიდან არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური და სხვა ტიპის მხარდაჭერა ხელს შეუწყობს ამ სფეროს განვითარებასა და ახალგაზრდების უნარების გაძლიერებას.
- » სახელმწიფო უწყებების, კერძო სექტორისა და მოქალაქეთა თანამშრომლობით საინტერესო და მოთხოვნადი სივრცეების შექმნა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ერთი მხრივ ახალგაზრდებისთვის უსაფრთხო და მიმზიდველი გარემოს გამუქობისა და მეთოდურ მხრივ კი, მათი სამეწარმეო უნარების განვითარებასა და დასაქმებაში.
- » არაფორმალური საგანმანათლებლო სერვისების დაფინანსება და მიწოდება მოწყვლადი ჯგუფებისთვის ხელს შეუწყობს მათ დისტანცირებას ისეთი გარემოსგან, რომელიც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მათ ქცევით მახასიათებლებზე, ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე.
- » მოზარდების ჩართულობა საჯარო დაწესებულებების მიერ აქტივობების განსაზღვრასა და დაგეგმვაში ამ სერვისებს უფრო მორგებულს გახდის მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე და ხელს შეუწყობს ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსების ეფექტურად ხარჯვას.

- » ახალგაზრდების ჩართულობის მაქსიმალური წახალისებისთვის აღმოფხვრილი უნდა იყოს ის ბარიერები, რომლებიც მათთვის პოტენციურ ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება იქცეს, მაგალითისთვის, ახალგაზრდული ინიციატივების კონკურსში საინიციატივო ჯგუფებისთვის თანადაფინანსების მოთხოვნა შესაძლოა გარკვეულ ბარიერად იქცეს დაინტერესებული პირებისთვის.

- » ისეთი საკოორდინაციო პლატფორმების არსებობა, რომლის მეშვეობითაც ახალგაზრდული ორგანიზაციები, სახელმწიფო და კერძო სექტორი ჩაერთვებოდნენ სტაჟირებისა და დასაქმების პროგრამების შემუშავებაში, მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ახალგაზრდებში დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების შექმნასა და შრომით ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის შეცვლას.

- » ახალგაზრდული იდეების მხარდაჭერისას აქცენტის გაკეთება ისეთ ინიციატივებზე, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე გამოწვევას პასუხობს, უფრო მეტ სარგებელს მოიტანს ახალგაზრდებისა და ზოგადად საზოგადოებისთვის. მაგალითისთვის, ზუგდიდში ფუნქციონირებს სოციალური სანარმო „მეგობარი“, რომელიც ახალგაზრდებისთვის ერთ-ერთი პოპულარული შეკრების ადგილია, დღისით მათ სრულიად უსასყიდლოდ შეუძლიათ მისვლა, არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვა ან ორგანიზება, სადამოს საათებში კი იგი ხდება გასართობი და დასასვენებელი სივრცე და იძენს ბარის ფუნქციას.

ცნობიერება და ხედვა

ახალგაზრდებისა და მთლიანად საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის აქცენტი უნდა გაკეთდეს ისეთი მიდგომების დანერგვაზე, რომლებიც წინ წამოწევენ არაფორმალური განათლების, გამჭოლი უნარების (Soft Skills) მნიშვნელობას, ხელს შეუწყობს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების შესახებ ინფორმირებულობის ზრდასა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების/შესაძლებლობების შესახებ.

- » ვინაიდან სკოლებისა და უნივერსიტეტების მხრიდან არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობა ხშირად წახალისებული არ არის, მნიშვნელოვანია პირველ რიგში ამაღლდეს ფორმალურ საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის ცნობიერება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რათა მათ საშუალება მისცენ ახალგაზრდული სერვისების პროვაიდერებს განახორციელონ პროექტები უნივერსიტეტთან ერთად და ამავდროულად თავადაც შეიმუშაონ წამახალისებელი პოლიტიკა სტუდენტების არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში ჩასართვად.
- » არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებული საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვისას, მნიშვნელოვანია აქცენტი გაკეთდეს ისტორიებზე, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ბენეფიტებს, არამედ იმ პროცესს, რომლის გავლაც უწევთ ახალგაზრდებს საქართველოში თუ მის გარეთ არსებულ პროგრამებში ჩასართვად, რათა იმ ახალგაზრდებს, რომელთაც თავდაჯერებულობა აკლიათ და გადაჭარბებულად აფასებენ შერჩევის კრიტერიუმებს, მეტი მოტივაცია მიეცეთ და შეძლონ საკუთარი თავის დანახვა მსგავს პროგრამებში.
- » ახალგაზრდული სერვისების მიმწოდებლებმა აქტივობებში მეტად უნდა ჩართონ ინფორმაცია იმ სასწავლო რესურსების შესახებ, რომელთა გამოყენებითაც ახალგაზრდებს შეუძლიათ თანამედროვე სამყაროში საჭირო და აუცილებელი ცოდნის მიღება. ეს ბიძგს მისცემს ახალგაზრდებს უფრო პროდუქტიულად გამოიყენონ ინტერნეტ რესურსები, განივითარონ დამოუკიდებლად სწავლის კომპეტენცია და ციფრული უნარები.
- » ისეთი პროექტების განხორციელებისას, რომლებიც მიზნად ისახავს სამოქალაქო ჩართულობის შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას, გათვალისწინებული უნდა იყოს გამჭოლი უნარების(კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილების მიღების, პრობლემის გადაჭრის, ლიდერობის უნარები) კომპონენტებიც, რათა ახალგაზრდებმა მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენონ მათთვის განკუთვნილი შესაძლებლობები თემის პრობლემების მოსაგვარებლად.

- » კერძო სექტორის წარმომადგენლებმა კადრების გადამზადებისას ყურადღება უნდა გაამახვილონ არა მხოლოდ პროფესიული კომპეტენციის ამაღლებაზე, არამედ გამჭოლი უნარების(soft skills) განვითარებაზეც, რომელიც საკვანძო მნიშვნელობისაა კადრების ეფექტური და პროდუქტიული საქმიანობისთვის.

- » კერძო სექტორმა მეტად უნდა გაითვალისწინოს ახალგაზრდების საჭიროებები(ნახევრაგანაკვეთური სამუშაოს შეთავაზება, სხვა სამსახურთან შეთავსების შესაძლებლობა, ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამების დანერგვა), რაც ხელს შეუწყობდა ერთი მხრივ ახალგაზრდების ფინანსური დამოუკიდებლობის გაზრდას და მათ პროფესიულ განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, ბიზნეს სექტორში არსებული პრობლემების(კადრების დეფიციტი, არაკვალიფიციური კადრები) მოგვარებას.

- » არაფორმალური განათლების აღიარება და მისთვის გარკვეული უპირატესობის მინიჭება სხვადასხვა ტიპის გადაწყვეტილებების მიღებისას(სახელმწიფო სტიპენდიის მინიჭება, პროფესიულ ან უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვა, საჯარო სამსახურში მიღება და ა.შ) გაზრდის ახალგაზრდების ინტერესს ჩაერთონ შესაბამის აქტივობებში.

- » კარიერის დაგეგმვისა და დასაქმების ხელშეწყობისთვის შექმნილი სახელმწიფო პროგრამები მნიშვნელოვანი მხარდაჭერი მექანიზმია ახალგაზრდებისთვის, თუმცა უნდა გაიზარდოს ამ სერვისების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონე.

ინფორმირება და უნარების განვითარება

ახალგაზრდების ინფორმირებისა და უნარების გაძლიერებისთვის ყურადღება უნდა გამახვილდეს საინფორმაციო არხების განვითარებაზე, ფორმალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული სასწავლო მიდგომების ცვლილებასა და ახალგაზრდებში დამოუკიდებლად სწავლის უნარების განვითარებაზე.

- » გარდა პროფესიული უნარებისა, დამსაქმებელები ხაზს უსვამენ ე.წ. გამჭოლი უნარების(soft skills) ნაკლებობის პრობლემას, შესაბამისად პროფესიულთან ერთად უნდა მოხდეს ამ უნარების გაძლიერების პროგრამების დაფინანსება მათ შორის კერძო სექტორის მხრიდანაც, რათა ახალგაზრდებმა შეძლონ სრულფასოვანი კარიერული განვითარება.
- » ერთიანი საინფორმაციო პლატფორმის არსებობა, რომელზეც განთავსებული იქნება სხვადასხვა აქტორის მიერ შეთავაზებული პროგრამები და პროექტები მნიშვნელოვნად გაუმარტივებს ახალგაზრდებს მათთვის საინტერესო შესაძლებლობების მოძიების პროცესს, განსაკუთრებით სასარგებლო იქნება პლატფორმა ე.წ. NEET ახალგაზრდებისთვის, რომლებიც შედარებულ ნაკლებ რესურსს იყენებენ ინფორმაციის მისაღებად.
- » უნდა გაიზაროს ისეთი ტრენინგებისა და აქტივობების რაოდენობა, რომლითაც ახალგაზრდები შეისწავლიან ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების გზებს, რათა სხვა ადამიანების გარეშე, დამოუკიდებლადაც მოახდინონ საკუთარი თავის ინფორმირება.
- » ისეთი ვორქშოპები, რომლებიც ავითარებს დამოუკიდებლად სწავლის კომპეტენციას, დაეხმარება ახალგაზრდებს თვითონ წარმართონ საკუთარი კარიერული და პიროვნული ზრდის პროცესი.
- » საგანმანათლებლო პროგრამებში აქტიურად უნდა იყოს ჩართული პრაქტიკული დავალებები, პროექტებზე დაფუძნებული სწავლება და სასწავლო თამაშები, რათა ახალგაზრდებმა უკეთ გაანალიზონ მიღებული ცოდნა და შეძლონ მისი პრაქტიკაში გამოყენება.

- » პროფესიულ პროგრამებთან დაკავშირებულ საინფორმაციო კამპანიებში წარმატებული მაგალითების ჩვენება და ამ ინფორმაციის გავრცელება ყველა შესაძლო დაინტერესებული მხარის ჩართულობით (ახალგაზრდული ორგანიზაციები, სკოლები, უნივერსიტეტები, სათემო ლიდერები და ა.შ.) გაზრდის ახალგაზრდების დაინტერესებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით.
- » მენარმეობასთან დაკავშირებული პროგრამების რაოდენობის ზრდა, როგორც სახელმწიფო ისე, სამოქალაქო და კერძო სექტორის მხრიდან მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ახალგაზრდების ეკონომიკურ გააქტიურებას.
- » სასწავლო დაწესებულებების (მათ შორის ბიბლიოთეკების) აღჭურვა თანამედროვე ტექნიკითა და ლიტერატურით გააუმჯობესებს ახალგაზრდებში თანამედროვე და რელევანტური ცოდნის მიღების შესაძლებლობას, თუმცა განათლების სისტემაში ძირეული ცვლილებების განხორციელების გარეშე განათლების ხარისხის ზრდა სწრაფი ტემპით ვერ განხორციელდება.
- » ფორმალურ საგანმანათლებლო ინტიტუტებში მობილური ახალგაზრდული მუშაკების არსებობა ეფექტურად მოახდენდა ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო შესაძლებლობების ინტეგრირებას და გაზრდიდა მასზე ხელმისაწვდომობასაც.
- » ციფრული წიგნიერების ხელშემწყობი პროგრამები ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში თანამედროვეობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების შექმნას და ინტერნეტ რესურსების უფრო ეფექტურად და პროფუქტიულად გამოყენებას.
- » “ციფრული ელჩების პროგრამა” რუანდაში მიზნად ისახავს ელჩების ციფრულ წიგნიერების დონის გაზრდას მათი ტექნიკური და “გაიმჭოლი უნარების განვითარებით, რათა ამ ახალგაზრდებმა გაავრცელონ მიღებული ცოდნა სხვა ახალგაზრდებზე. აღსანიშნავია რომ პროგრამაში დაცულია გენდერული ბალანსი.

(Global Youth Development Report, The Commonwealth, 2020)

ჩართულობა და გაძლიერება

ახალგაზრდების სამოქალაქო გააქტიურებისა და ჩართულობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია გამოყენებული იყოს კომპლექსური მიდგომა და მოხდეს არა მხოლოდ ახალგაზრდების, არამედ სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა და კოორდინირებულად მოქმედება.

- » ახალგაზრდების მოსაზრებების გათვალისწინება ადგილობრივ დონეზე მათთან დაკავშირებულ საკითხებზე გაზრდის თემში სხვა ახალგაზრდების მოტივაციას, ჩაერთონ გადანყვეტილებების მიღების პროცესში და საკუთარი ინიციატივებით მიმართონ მუნიციპალიტეტს.
- » ახალგაზრდების გაძლიერებისკენ მიმართულ აქტივობებში ჩასართავად უნდა მოხდეს არა მხოლოდ ისედაც აქტიური და წარმატებული ახალგაზრდების, არამედ შედარებით ნიჰილისტურად განწყობილი და პასიური ახალგაზრდების მხარდაჭერა, რათა პროცესი იყოს მაქსიმალურად ინკლუზიური და შედეგის მომტანი ახალგაზრდების ფართო ჯგუფებისთვის.
- » წარმატებული ისტორიების გაზიარება, რომლებიც აჩვენებს ახალგაზრდების ჩართულობით მიღწეულ შედეგებს და ამა თუ იმ პრობლემის ახალი ხედვით გადაჭრის მაგალითებს, დადებითად იმოქმედებს როგორც სხვა ახალგაზრდების ჩართულობაზე, ასევე მუნიციპალური ორგანოების მიმართ საზოგადოების ნდობაზე.
- » მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის იმის ჩვენება რომ მათი ჩართულობა ღირებულია. მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ცალკე განყოფილების დამატება ახალგაზრდებისთვის საინტერესო ინფორმაციისა და ჩართულობის მექანიზმების შესახებ, დაანახებდა მათ მუნიციპალიტეტის სურვილს და მზაობას ამ მიმართულებით. ამის გარდა, ვიდეო მიმართვებისა და არსებული მაგალითების შესახებ ვიდეო-რგოლების გადაღება ახალგაზრდების ინფორმირებისა და წახალისებითვის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა.

- » მნიშვნელოვანია ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას პროცესში ჩართული იყვნენ ახალგაზრდული ორგანიზაციები, რათა გადანყვეტილების მიღებისას მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული ახალგაზრდების მახასიათებლები და მათთა მუშაობის სპეციფიკა.

- » მუნიციპალიტეტსა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს მეტი კოორდინაციით შეუძლიათ ერთმანეთი სხვადასხვა კუთხით გააძლიერონ. მუნიციპალიტეტის მხრიდან ახალგაზრდული ორგანიზაციების პროექტების ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერა, ხოლო ორგანიზაციების მხრიდან მათი ცოდნის გაზიარება და მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პროგრამების განხორციელებაში მეტი ჩართულობა უფრო ეფექტურს გახდის ადგილზე ახალგაზრდული მიმართულებით მუშაობას.



+995 (0)431 24 24 02

ldageorgia@aldaintranet.org

<https://ldageorgia.ge/>

